

## შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ

### საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს უნივერსიტეტს შორის

4 ივნისი, 2008 წელი


თბილისი

ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში სებ-ი) – წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, დავით ამაღლობელის მიერ და მეორე მხრივ, საქართველოს უნივერსიტეტი (შემდგომში სუ), წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ მანანა სანაძის მიერ, ზემოხსენებულ დანესებულებებს შორის თანამშრომლობისა და მყარი, გრძელვადიანი პარტნიორობის განვითარების მიზნით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. სებ-ი და სუ განახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს, საქართველოში თანამედროვე ეკონომიკური განათლების ხელშეწყობისა და ეკონომიკური ცოდნის ამაღლების კუთხით;
2. სებ-ი და სუ ითანამშრომლებენ აკადემიური და პროფესიული შეხვედრების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზების კუთხით;
3. სებ-ი დახმარებას გაუწევს სუ-ს სტუდენტებს კვლევების წარმართვაში, კონსულტაციებისა და სებ-ის მონაცემთა ბაზისა და ბიბლიოთეკის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის გზით;
4. სებ-ი და სუ ითანამშრომლებენ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელების მიმართულებით, რისთვისაც გამოყენებული იქნება როგორც საქართველოს უნივერსიტეტის, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები.

დავით ამაღლობელი

საქართველოს ეროვნული ბანკის  
პრეზიდენტის მოვალეობის  
შემსრულებელი



მანანა სანაძე

საქართველოს უნივერსიტეტის  
რექტორი

